პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა
და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР
и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 35 (1671) ○ სამშაბათი, 21 მარტი, 1961 წ. ○ გამოცემის მე-17 წელი. ○ ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟვირე ყინული მთლიანად გადნებოდეს“

ფოტოეტიუდი
მ. ზარგარიანისა.

„იუმანიტეს“ პრიზზე

...კარგახანია ტრადიციად დამკვიდრდა მძლეოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ორგანოს გაზეთ „იუმანიტეს“ პრიზზე. ეს შეჯიბრება ყოველწლიურად იმართება მარტის ერთ-ერთ კვირას და სპორტის მოყვარულთა დიდ ინტერესს იწვევს, რადგან აქ გამარჯვებისათვის იბრძვიან მსოფლიოს საუკეთესო მორბენლები.

საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი წარმატება მოიპოვეს ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის წინ, როცა ვაჟთა შორის კროსი მოიგო ს. ზნამენსკიმ. მას შემდეგ ჩვენი ქვეყნის სპორტსმენები რეგულარულად მონაწილეობენ ამ შეჯიბრებაში და ხშირად საპრიზო ადგილებსაც იკავებენ. ხოლო ქალებს არასოდეს დაუთმიათ პირველობა.

ამჯერადაც ისახელეს თავი ჩვენი ქვეყნის წარგზავნილებმა. ქალთა შორის 2.400 მ. კროსის დისტანციაზე მეექვსედ მოიპოვა უძლიერესის სახელი ნ. ოტკალენკომ, მის თანაგუნდელებს ლ. ლისენკოსა და ა. ბაბენკოს დარჩათ მომდევნო ადგილები.

ვაჟები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ 8 კილომეტრზე რბენაში. აქ საბჭოთა კავშირის სპორტულ ინტერესებს მსოფლიო რეკორდსმენ პ. ბოლოტნიკოვთან ერთად იცავდნენ ა. არტინიუკი და ვ. ფუკოვი. ფინიშის ხაზი პირველად გადაკვეთა ა. არტინიუკმა.



თბილისში, მაგიდის ჩოგბურთში ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად იმყოფებოდნენ რუმინელი ჩოგბურთელები. **სურათზე:** რუმინელი სპორტსმენი ქალი კატრინელ ფოლია თამაშის დროს.
შეჯიბრების ანგარიში სათაურით „საერთაშორისო ამხანაგური“ იხ. მე-3 გვ.

...ისევ გამარჯვება

...საბჭოთა კავშირის კლასიკურ ...ფიდავეთა გუნდმა, რომელიც ...ტუშრად იმყოფება გერმანიის ფე...რაციულ რესპუბლიკაში, თავისი ...ასმე და უკანასკნელი შეხვედრა ...მართა ქალაქ ელსინგენში გფრ-ს ...ერებთან. უმჩატეს წონაში ი. კო...ერგინის წინააღმდეგ ამჯერად გა...ოდიოდა ნესა. ქულებით გაიმარჯ...ა საბჭოთა სპორტსმენმა. მჩატე ...ონაში ვ. ტროსტიანსკიმ აშკარა ...ირატესობით დაამარცხა მოწინ...ააღმდეგე. ასევე აშკარა უპირა...ესობით გაიმარჯვა ვ. კოციუბამ. ...ეერთან შეხვედრაში ვ. ჟიტინი...ემ საბჭოთა კავშირის გუნდს ...ითხე ქულა მოუტანა.

...ალიჩაზე გამოვიდნენ ქვესაშუა...ო წონის მოჭიდავეები ოლიმპი...ი ვერცხლის მედლის მფლო...ელი მარიჩნიგი და დ. გვანცელა...ე. გვანცელაძემ ხუთ წუთში სუფ...ა გამარჯვება მოიპოვა მოწინააღ...ეგეზე. ი. როტსმა (საბჭოთა ...ეშირი) ქულებით სძლია უტცს. ...ითადერთი გამარჯვება გერმანე...ებმა მოიპოვეს მძიმე წონაში. ...ერიგად, საბჭოთა სპორტსმენებმა ...ოგეს მესამე შეხვედრაც — 7:1.

...ახალი ...ეზონის წინ

...დამთავრდა ზამთრის სპორტული ...ზონი. დადგა გაზაფხული და ...ვიანთი საჭურველი მოძებნეს ...ურიზმის — ლაშქრობათა და ...ეგზაურობათა მოყვარულებმა. ...ნსაკუთრებით საინტერესო და ...ოვალფეროვანი იქნება მათთვის ...ამდინარე სეზონი. რუსეთის ...ურისტულ მარშრუტებს შეე...ატება ახალი — ტვიბე...ის მარშრუტი, რომელიც ყაბარ...ო-ბალყანეთის დედაქალაქ ნალ...ჩიკში დაიწყება. ტურისტები მან...ნით მივლენ ჩეგემის ხეობაში, ...ემეთ დალაშქრავენ ზემოსვანეთს, ...ოვლიან ზუგდიდსა და ლაშქრ...ობს სოხუმში დაამთავრებენ. მარშ...ტი 20 დღეს გაგრძელდება.

საქართველოს ტურისტულ-საექ...ურსიო სამმართველო ტურის...ეულ ბაზას აწყობს დაბა ხარის...ალაში, შორის წყალსაცავის მა...ლობლად და სხვ.

ფედერაციამ ასე გადაწყვიტა

შაიბიან ჰოკეიში მსოფლიო პირველობის დამთავრების შემდეგ ჟენევაში გაიმართა ჰოკეის საერთაშორისო ფედერაციის მორიგი სხდომა, რომელმაც მთელ რიგ აქტუალურ საკითხებთან ერთად განიხილა მორიგი მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების საკითხიც. ფედერაციამ დაადგინა: მომავალი, 1962 წლის მსოფლიო პირველობა შაიბიან ჰოკეიში ჩატარდეს ამერიკის შეერთებულ შტატებში, კერძოდ, კოლორადო-სპინგსში, ხოლო 1963 წლის პირველობის ჩატარების ადგილად არჩეულია შვეიცის დედაქალაქი სტოკჰოლმი.

...ამაყარა უპირატესობით

ევროპის ჩემპიონთა თასზე ფრენბურთში მოსკოვის „დინამოს“ ქალთა გუნდმა პირველ შეხვედრაში დაამარცხა დიმიტროვოს „მინიორი“ — 3:0. ამ გუნდების განმეორებითი მეოთხედფინალური მატჩი გაიმართა ამ დღეებში. მოსკოველებმა კვლავ აღმაღლობით ითამაშეს, მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 3:1 და გავიდნენ ნახევარფინალში, სადაც შეხვდებიან ბუქარესტელ თანაკლუბელებს.

ბ. კოსტავა იბრძოლებს „მარტინის თასისათვის“

მოსკოვში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა ჩვენი ქვეყნის უძლიერეს მოფარიკავეთა შერჩევითი შეჯიბრება, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის ნაკრების დაკომპლექტებას „მარტინის თასის“ გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად. დაშნით ბრძოლაში წარმატებით გამოვიდნენ ოლიმპიური თამაშების პრიზიორები რიგელი ბ. ხაბაროვი, თბილისელი გ. კოსტავა და ერევნელი ვ. ჩერნიკოვი. ეს სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ ლონდონში გამართულ „მარტინის თასის“ გათამაშებაში.

პარტია გადაიდო

გუშინ, მოსკოვში, მსოფლიო ჩემპიონის სახელის გამოსავლენად ჭადრაკში მ. ბოტვინიკსა და მ. ტალს შორის გაიმართა მესამე პარტია. თეთრებით თამაშობდა მ. ბოტვინიკი.

პარტია არ დამთავრებულა. იგი გადაიდო ექს-ჩემპიონისათვის უკეთეს მდგომარეობაში.

მთავარი ჯილდო — მოსკოველებს

დამთავრდა რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის II სპარტაკიადა. ამ მარათონულ შეჯიბრებაში, რომლის პროგრამაში იყო ჰოკეი, ციგურებით რბენა, ფიგურული სრიალი, სათხილამურო სპორტი, გაიმარჯვეს მოსკოველმა სპორტსმენებმა, რომლებმაც მოიპოვეს მთავარი პრიზი. მათ მოაგროვეს 40 ქულა და 2 ქულით გაასწრეს სვერდლოვსკის ოლქის სპორტსმენებს. მესამე ადგილზე გამოვიდნენ მოსკოვის ოლქის წარმომადგენლები — 70,5 ქულა.

186 სმ კვლავ ქედს იხრის ი. ბალაშის წინაშე

ლენინგრადის მძლეოსანთა შეჯიბრებაზე მონაწილეობას ღებულობდა რამდენიმე საზღვარგარეთელი სპორტსმენი, მათ შორის მსოფლიო რეკორდსმენი ქალთა შორის სიმაღლეზე ხტომაში რუმინელი ი. ბალაში, როგორც ცნობილია, მსოფლიო რეკორდი სიმაღლეზე ხტომაში ეკუთვნის მას და 186 სმ-ს უდრის. ამჯერად მან ეს სიმაღლე დაძლია ლენინგრადში გამართულ შეჯიბრებაზეც და ერთბაშად 9 სანტიმეტრით გაუმჯობესა მსოფლიო მიღწევა დახურული შენობისათვის, რომელიც მასვე ეკუთვნოდა.

ამავე შეჯიბრებაზე თ. პრესმა ბირთვი ჰკრა 17,15 მ-ზე, ესეც ახალი მსოფლიო მიღწევაა.

ბერლინის საერთაშორისო

ამ დღეებში ბერლინში მეოთხედ გაიმართა მეგობრული არმიების კროსმენთა შეჯიბრება. 2,5 კმ კროსის დისტანციაზე მასპინძლების გარდა სტარტზე გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთისა და საბჭოთა სპორტსმენები. შეჯიბრებას თავიდანვე ლიდერობდნენ ცსკა-ს წარმომადგენლები ლ. ნაროდიცკი, ვ. შიშკოვი და ვ. სამოილოვი, მაგრამ ფინიშზე მათ გაასწრო გერმანელმა ჰ. ბულმა — 7.40,0, ვ. სამოილოვმა დაიკავა მეორე ადგილი — 7.43,6, ვ. შიშკოვმა მესამე — 7.43,8. მსოფლიო რეკორდსმენი 1.000 მეტრზე რბენაში ზ. ვალენტინი მეხუთე ადგილზე დარჩა.

ერთ გერმანულ მილზე — 7,5 კილომეტრზე რბენას ლიდერობდა 1958 და 1959 წლში გამარჯვებული პოლონელი სტაიერი ს. ოჟუგი, მაგრამ მასაც უკანასკნელ სწორზე გასწრო ოლიმპიური თამაშების ორგზის ვერცხლისმედალოსანმა გერმანელმა ჰ. გროდოცკიმ — 22.54,8, ოჟუგი ჩამორჩა 1 წამით, ი. ზახაროვმა (საბჭოთა კავშირი) დაიკავა მესამე ადგილი.

წოდებათა მინიჭება

საბჭოთა კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს პრეზიდიუმმა საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიანიჭა მძლეოსნობაში ი. ბეზროდნას (ბათუმი, „დინამო“).

სპორტის ოსტატის წოდება მიენიჭათ ველოსპორტში — ჭ. დიასამიძეს, ს. გავრილოვას, ნ. კლიმენკოს (სამივე თბილისი, „ბურევესტნიკი“), ნ. გიორგიდის (სოხუმი, „კოლმეურნე“), ბ. ძაძიგურს (აფხაზეთი, სოფ. აჩიგვარა, „კოლმეურნე“).

ყველა სპორტულ მიღწევას სკოლაში ეყრება საფუძველი

შეთანხმებული შრომის შედეგად

პედსაბჭოს სხდომაზე მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის საკითხს იხილავდნენ. თუმცა თბილისის მე-12 საშუალო სკოლაში ცუდად არაა დაყენებული ეს საქმე, მაგრამ რომ კითხოთ რომელი საგნისაც გნებავთ პედაგოგს, გიპასუხებენ: „ჩვენთან მხოლოდ ჩამორჩენილებზე არ ვმსჯელობთ“ და მართლაც აქ ჩვეულებრივ ლაპარაკობდნენ მოწინავეთა შესახებაც, შეაქებენ მათ და ამავე დროს ამხელენ მათ საქმიანობაში არსებულ თუნდაც მცირე ნაკლოვანებებს.

სკოლის მთელი კოლექტივი, რომელსაც დირექტორი მერი სიხარულიძე ხელმძღვანელობს, ერთნაირადაა დაინტერესებული საერთო წინსვლითა და მათ შორის ფიზკულტურითა და სპორტითაც, როგორც სასკოლო ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი უბნით.

ახლაც, ფიზაღზრდის უფროსი მასწავლებლის შ. ვეფხვიშვილის გამოსვლის შემდეგ, რომელმაც პედსაბჭოს უამბო სექციების საქმიანობის შესახებ, ცხოველი კამათი გაიმართა. ფიზიკის მასწავლებელმა მ. ფაჩუაშვილმა და გეოგრაფიის მასწავლებელმა ს. მეტრეველმა წამოაყენეს საქმიანი წინადადება, რომ კლასის ხელმძღვანელები შემდეგშიც უნდა დაინტერესებული იყვნენ თავიანთ აღსაზრდელთა არა მარტო აკადემიური მოსწრების ზრდით, არამედ ფიზიკური წრთობითაც, ვინაიდან ეს უკანასკნელი ხელს უწყობს ბავშვის ნებისყოფის განვითარებას, შრომისადმი სიყვარულის აღზრდას. ხელს აღებინებს უსაქმურობასა და წესრიგის დარღვევისადმი ლტოლვაზე.

პედაგოგთა კოლექტივის მხარდაჭერით მე-12 სკოლის ფიზკულტურელთა განკარგულებაშია კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზი, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები, სექტორები და ასე გასინჯეთ, სასროლი ტირიც კი, რომელიც შარშან აავო ლენინის **დოსაფი**-ს რაიონულმა კომიტეტმა.

ყველა ამ წინაპირობამ, აღსაზრდელთა და აღმზრდელთა მონდომებულმა, შეთანხმებულმა შრომამ, სექციების მეცადინეობის გრაფიკის ზუსტად დაცვამ, ხშირმა საექიმო კონტროლმა, შიდასასკოლო და სამატჩო შეხვედრების რეგულარულად ჩატარებამ, აღმზრდელების შ. ვეფხვიშვილის, ა. გოშაძის, ი. მაცაბერიძისა და უ. ღონღაძის მუყაითმა შრომამ სკოლის ფიზკულტურულ კოლექტივს საშუალება მისცა ერთი მოწინავეთაგანი იყოს რაიონში.

განსაკუთრებით ძლიერი არიან აქაური ტანმოვარჯიშეები და კალათბურთელები. ტანვარჯიშის ჯგუფების სასკოლო შეჯიბრებებში გამარჯვებულთაგან დაკომპლექტებულმა გუნდმა პირველი ადგილი მოიპოვა არა მარტო ლენინის რაიონის, არამედ თბილისის სკოლების შეჯიბრებაშიც. ხოლო დ. ჯანიაშვილი და ი. რომელაშვილი ოსტატის საპატიო სახელსაც ატარებენ. 11 ბავშვია პირველი და 16 — მეორე და მესამე თანრიგოსანი. რაიონში პირველნი არიან ამ სკოლის კალათბურთელ ვაჟთა და გოგონათა გუნდებიც. ჰყავთ კარგი მძლეოსნები, ველოსიპედისტები, მოჭადრაკეები.



შარშან ამ სკოლაში პრაქტიკაზე იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრი ფარიკაობაში, სპორტის ოსტატი რ. გოშაძე. ამ ენერგიული ახალგაზრდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი გამოეხმაურა მ. ჯუღელის ინიციატივას, უსასყიდლოდ იმუშაოს პატარებთან. მან ჩამოაყალიბა ფარიკაობით დაინტერესებულთა ჯგუფი, თვითონვე იშოვნა ინვენტარი და შეუდგა საქმიანობას. მალე მოპოვებულ იქნა სერიოზული წარმატებანი. მე-12 სკოლის მოფარიკაველებმა დაიკავეს პირველი ადგილი რაიონში და მეორე — საქალაქო შეჯიბრებაზე.

სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებლები თავიანთ საქმიანობას სექციურ მუშაობაში მარტო უფროსკლასელებით არ განსაზღვრავენ და პატარებს შორის ამზადებენ საიმედო ცვლას. კარგი მომავალი აქვთ ტანვარჯიშში II კლასელებს ბ. როსტომაშვილს, ო. ლოლაძეს, IV კლასელ ლ. ავსაჯანაშვილს, V კლასელ მ. ათანასოვს, ფარიკაობაში — VII კლასელებს რ. პაპაშვილს, გ. დუდაშვილსა და სხვებს.

* * *

სურათებზე: ზევით—ტანვარჯიშის სექციის მორიგ მეცადინეობაზე. ქვევით — მოფარიკაველებს ესაუბრება ენთუზიასტი მწვრთნელი რ. გოშაძე.

საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით

გორის ზონა

ბორჯომში გაიმართა საიუბილეო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებანი ფრენბურთსა და მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლაში. ფრენბურთში გამარჯვებისათვის იბრძოდა ვაჟთა 9 და ქალთა 6 გუნდი. ქალთა შორის გამარჯვება მოიპოვეს „განთიადის“ სპორტსმენებმა, ხოლო ვაჟთა შორის—„სპარტაკისა“ და შუშის ქარხნის გუნდებმა. მათი ფინალური მატჩი მოიგეს სპარტაკელებმა, მაგრამ მსაჯთა კოლეგიის გადაწყვეტილებით გორის ზონალურ სპარტაკიადაზე რაიონის ინტერესების დაცვა დაევალა შუშის ქარხნის გუნდებს.

ბორჯომელმა მეშუშეებმა ნდობა გაამართლეს. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებმა აღმავლობით ჩაატარეს შეხვედრები გორში. ფინალში ქალთა გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა მასპინძლები, ხოლო ვაჟებმა სძლიეს ალქალაქელ სპორტსმენებს და მოიპოვეს რესპუბლიკურ სპარტაკიადაში მონაწილეობის უფლება.

მსროლელთა რაიონულ შეჯიბრებაზე პირადი პირველობა მოიგო შუშის ქარხნის ფიზკულტურის ინსტრუქტორ-მეთოდისტმა ა. გელაშვილმა, რომელმაც ყველაზე კარგი შედეგი აჩვენა კომპლექსურ ჩათვლაში. შუშის ქარხნის სპორტსმენებს დარჩათ გუნდური პირველობაც და შემდეგ ეს უპირატესობა ბორჯომელმა სპორტსმენებმა დაამტკიცეს გორის ზონალურ შეჯიბრებაშიც, სადაც პირველი ადგილი მოიპოვეს 7 რაიონის გუნდების ტურნირში. პირველი ჩათვლაში ყველას აჯობა ბორჯომელმა გ. ფილიევმა, მაგრამ გამარჯვებულთაგანაც კი ვერავინ შეძლო ჩასათვლელი ნორმატივების შესრულება.

ა. ძოწენიძე

სპორტკავშირის რაიონული კონფერენციები

საგარეჯო

ძველთაგანვე საგარეჯოს რაიონის ძირითადი სპორტული „განხრა“ ჭიდაობაა. ეს მრავალ ათეული წლების ტრადიციაა, რომელიც დღეს ჩვენი სპორტის განვითარებისა და რაიონში ფიზკულტურული მოძრაობის ინტერესებს სამსახურშია ჩაყენებული. მაგრამ, უკანასკნელი წლების მანძილზე ეს ტრადიცია სავალალოდ შეირყა.

ათი წლის წინ საგარეჯოს რაიონი ქუხდა ჭიდაობის, კერძოდ—ქართული ჭიდაობის სფეროში, მთელი რესპუბლიკის მასშტაბით; 1950 წელს აქაურმა ფალავნებმა საქართველოს გუნდური პირველი ადგილი მოიპოვეს და მთელ რიგ წონებშიც ჩემპიონობა დაისაკუთრეს. ასეთი წარმატება გაგრძელდა მომდევნო წელსაც. მაგრამ, აი 1959 წლის რესპუბლიკური პირველობაც: მასში საგარეჯოდან მონაწილეობდა... ერთადერთი სპორტსმენი; მოგონებადღა იქცა ძველი წარმატებანი.

დაკარგული ტრადიციების გამო ხინანული და გულისტკივილი, მათი—ამ ტრადიციების — აღორძინების დიდი სურვილი მთავარ თემად გასდევდა რაიონის სპორტკავშირის კონფერენციის მუშაობას; ამის შესახებ ლაპარაკობდნენ კავშირის საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოვალეობის აღმსრულებელი მ. ელერდაშვილი, საგარეჯოს საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. გარსიაშვილი, ავტოტრანსპორტის კანტორის კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი თ. ბუზარიაშვილი, პარტიის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგე ა. გილაშვილი და სხვები. საკითხი მით უფრო მწვავედ ისმებოდა, რომ ეს რეგრესი, უკანასკნელი წლების ეს უკანდახევა მხოლოდ ქართულ ჭიდაობაში კი არ შეიმჩნეოდა, არამედ—სხვა სახეობებშიც, რომლებიც ადრე კულტივირებული იყო საგარეჯოში; უწინ აქ ძლიერი ტანვარჯიშული სკოლა იყო და ახალგაზრდობაც დიდად ინტერესდებოდა ამ სახეობით; უწინ აქ ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის ბევრ დარგში დუღდა და გადმოდიოდა ენთუზიაზმიც. მაორგანიზებელი მუშაობაც სხვადასხვა სექციაში, საზოგადოებრივი მონდომებაც; უკანასკნელ წლებში კი ყველაფერი ეს თითქმის განძარცულია, გაქარწყლებულია.

მაგრამ უკანასკნელი რამდენიმე თვის მანძილზე, მას შემდეგ, რაც აქაური სპორტკავშირების ხელმძღვანელობაში ცვლილებები მოხდა, საგარეჯოს რაიონის ფიზკულტურულ-სპორტულ ცხოვრებაშიც შეიმჩნა გამოცოცხლება, ახლებური—მონდომებული მუშაობის პირველი ნიშნები, რომლებმაც თუმცა ჯერ მცირე, მაგრამ მაინც აშკარა ნაყოფები მოიტანეს: 1960 წელს „კოლმეურნის“ რესპუბლიკურ პირველობაზე სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში საგარეჯოს გუნდებმა II საპრიზო ადგილები დაიკავეს, 1961 წელს კი კახეთის ზონალურ პირველობებზე თავისუფალ და ქართულ ჭიდაობაში, აგრეთვე ტყვიით სროლაში —პირველი ადგილები მოიპოვეს. გამოცოცხლება შეიმჩნევა მძლეოსნობის სექციებშიც, სადაც თუმცა ჯერ სუსტი, მაგრამ პერსპექტიული ძალებია ჩაბმული.

კონფერენციაზე აღინიშნა ისიც, რომ უკანასკნელი პერიოდის ეს იმედის მომცემი სიახლენი, ეს გამოცოცხლება მუშაობაში სრულყოფილი არ იქნება და უკვალოდ ჩაივლის, თუ იგი ცალკეულ სპორტულ სექციებთან ერთად ღრმად არ გაიდგამს ფესვებს ძირეულ კოლექტივებში. ამ მხრივ კი რაიონში თითქმის ყველაფერი ახლიდანაა გასაკეთებელი, მითუმეტეს —კოლმეურნეობებსა და ასეთ ხალხმრავალ საწარმოებში, როგორიცაა საკონსერვო ქარხანა და სხვ. ეს „ყველაფერი“ ბაზების მშენებლობებიდან უნდა დაიწყოს.

საგარეჯოს ფიზკულტურელებმა უკანასკნელი თვეების წარმატებებს ერთი მეტად მნიშვნელოვანი შრომითი ინიციატივა დაუდეს საფუძვლად. პარტიის მოწოდებათა საპასუხოდ მათ ივალდებულეს საკუთარი ძალებით დაამუშავონ 40 ჰექტარი სიმინდის ყანა და მაღალი მოსავალიც მიიღონ.

კონფერენციაზე რაიონული სპორტკავშირების საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მ. ელერდაშვილი.

ლ ე ლ ო

ᲛᲔ-2 ᲒᲐ. № 35 (1671)

თბილისი

თბილისის ორჯონიკიძის სახელობის რაიონში თავმოყრილია 8 უმაღლესი სასწავლებელი და 12 ათასზე მეტი ფიზკულტურელი. ცხადია, ასეთ არმიას არ შეიძლება სათანადო წარმატებანი არ ჰქონდეს, მაგრამ ამის შესახებ არ ვილაპარაკებთ ამ წერილში, ვინაიდან სპორტკავშირის რაიონულ კონფერენციაზე მომხსენებელმა გ. ბურჯანაძემ თავის გამოსვლაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ნაკლოვანებებს.

მან და კამათში გამოსულებმა: უნივერსიტეტის სტუდენტმა ფ. ჩიკვილაძემ, უნივერსიტეტის სპორტული კლუბის გამგემ გ. პატარიძემ, სპორტსკოლის დირექტორმა გ. გუგუშვილმა, 64-ე სკოლის ფიზაღზრდის მასწავლებელმა დ. მახარაშვილმა, მე-4 სკოლა-ინტერნატის ფიზაღზრდის მასწავლებლებმა ვ. ლაბუნსკიმ, კომკავშირის რაიკომის მდივანმა რ. მეტრეველმა და სხვებმა აღნიშნეს, რომ რაიონის ფიზკულტურელთა საქმიანობა ჯერ კიდევ ვერ პასუხობს მათ წინაშე დასახულ ამოცანებს. კერძოდ, იშვიათად ხდება ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობის შესწავლა და მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევა, რომ დაწყებით კლასებში ფიზაღზრდის გაკვეთილებს ჯერ კიდევ არასპეციალისტები ატარებენ. ინსტიტუტების მრავალტირაჟიანი გაზეთები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ სპორტის საკითხების მასობრივ გაშუქებას და კმაყოფილდებიან ერთი ან ორი მათთვის საყვარელი ხეობით.

სამ კუბატურაში

თბილისში, საბურთალოს რაიონში ამას წინათ ჩატარდა პირველობა მოტოკროსში, რომელშიც მონაწილეობდნენ ქალაქის უძლიერესი მოტოციკლისტები.

125 კბ სმ კლასის მოტოციკლებში პირველი ადგილი დაიკავა სპორტის ოსტატმა რ. გალუსტიანმა (საბჭოთა არმია). 175 კბ სმ კლასის მოტოციკლისტთა შეჯიბრებაშიც პირველი იყო არმიელი სპორტსმენი ე. პოლოზენკო.

350 კბ სმ კლასის მოტოციკლებში, როგორც მოსალოდნელი იყო, პირველობა დაისაკუთრა საქართველოს ჩემპიონმა, სპორტის ოსტატმა თ. შალიბაშვილმა.

ე. სუსუნიკაშვილი

ᲒᲐᲜᲒᲠᲫᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲖᲔ

ნადო ყურადღებას არ აქცევენ სპორტის საკითხების მასობრივ გაშუქებას და კმაყოფილდებიან ერთი ან ორი მათთვის საყვარელი ხეობით.

კონფერენციაზე აღინიშნა ერთეული თბილისის საშახტავრო სასწავლებლისა და ტოპოგრაფიულ ტექნიკუმის ფიზკულტურის მასწავლებელთა საქმისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ტოპოგრაფიულ ტექნიკუმში უფროს მასწავლებლად მუშაობს ამ საქმეში არასპეციალისტი ა. მამედოვი. ინჟინერული სასწავლებლის სპორტულ დარბაზში გაჩხენილია სასაუბზმე და ა. შ.

კონფერენციამ მიიღო სათანადო დადგენილება, რომელშიც დასახულია მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის გზები.

სეზონის პირველი მატჩი

19 მარტს თბილისის „ბურევესტნიკის“ სტადიონზე შედგა საკონტროლო მატჩი ფეხბურთში, რომელმაც დიდი ინტერესი გამოიწვია გულშემატკივართა შორის, თამაშს კიევისა და თბილისის დინამოელთა შორის ესწრებოდა მაყურებელთა მაქსიმუმი.

კიეველმა ფეხბურთელებმა შარშანდელ ჩემპიონატში დიდ წარმატებას მიაღწიეს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს, მაგრამ საქმე მარტო მეორე ადგილში არაა. გუნდის ხელმძღვანელობამ კურსი ახალგაზრდა, პერსპექტიულ ფეხბურთელებზე აიღო, შექმნა უაღრესად ძლიერი, ბრძოლისუნარიანი კოლექტივი, რომელსაც სრულიად საფუძვლიანი პრეტენზიები აქვს ჩემპიონის ტიტულზე.

კიეველებმა მართლაც საინტერესო თამაში გვიჩვენეს განვლილ საკონტროლო მატჩში. მათ ჯერ კიდევ დასაწყისში შექმნეს ორი მეტად სახიფათო მომენტი ორივე საპირდაპირო მხარეს — ჯერ კომბინაცია გათამაშებულ იქნა მარჯვენა ფლანგზე, საიდანაც ბურთი სწრაფად გაიგზავნა ცენტრში თავისუფლად დარჩენილი ბაზილევიჩისაკენ, ხოლო შემდეგ ასეთივე მდგომარეობაში აღმოჩნდა ზაიცევი, მაგრამ ბურთი ორივეჯერვე აცდა კარს.

სტუმრებს კარგა ხანს ეპყრათ ხელთ ინიციატივა. ისინი სისტემატურად იყენებდნენ თავიანთი გარემარბების უპირატესობას ფლანგებზე სისწრაფეში და თორაძეს სრული დატვირთვით უხდებოდა მუშაობა ცენტრში ორივე მხრიდან მოწოდებული ბურთების მოსაგერიებლად. მხოლოდ მე-20 წუთისათვის გამოასწორეს მდგომარეობა თბილისელებმა, რაც ძირითადად ბარქაიასი და იამანიძის წყალობით მოხდა. მაგრამ ჩვენი ფორვარდები ამ დღეს ელემენტარულ დარტყმებსაც კი ვერ ასრულებდნენ კარში (განსაკუთრებით მელაშვილი და ჟორდანია).

მეორე ტაიმი თითქმის მთლიანად კიეველთა უპირატესობით მიმდინარეობდა და მათი გამარჯვებითაც დამთავრდა — 1:0 (გოლი გაიტანა ბაზილევიჩმა), თუმცა ანგარიში შეიძლებოდა კიდევ უფრო დიდი ყოფილიყო. კანევსკიმ, მაგალითად, ვერ გაიტანა ბურთი მაშინაც კი, როცა სრულიად მარტოდმარტო იყო დარჩენილი ცარიელი კარის წინ.

თბილისელებმა ერთობ არადამაკმაყოფილებელი თამაში აჩვენეს ამ დღეს. მართალია, გუნდის შემადგენლობა ექსპერიმენტალური იყო და მას აკლდა ძირითად მოთამაშეთა მთელი წყება (ჩოხელი, მუსხი, დოღობერიძე, კალოევი, ზეინკლიშვილი, ბ. სიჭინავა), მაგრამ შეიძლება განმეორდეს შარშანდელი ისტორია და დინამოელებს სწორედ ასეთი შემადგენლობიო მოუხდეთ მატჩების ჩატარება. ამიტომ გუნდი ყოველი თავისი ვარიანტით უნდა იყოს მზად ხანგრძლივი გათამაშებისათვის, ხოლო შემცვლელმა მოთამაშეებმა სრული პასუხისმგებლობა აიღონ თავიანთ თავზე.

გუნდებმა ასეთი შემადგენლობებით ჩაატარეს მატჩი: **კიევი** — მაკაროვი; მენშიკოვი, კოლცოვი, ანუფრიენკო; სოროკინი, საბო; ბაზილევიჩი, სერებრიანიკოვი, ბიბა, კანევსკი, ზაიცევი. **თბილისი** — კოტრიკაძე; ხურცილავა, თორაძე, ხოჭოლავა; ხუნდაძე, გ. სიჭინავა; მელაშვილი, ბარქაია, ჟორდანია, იამანიძე, ვეკუა.

ძირითად შემადგენლობათა შემდეგ გაიმართა დუბლიორთა მატჩი, გამარჯვება აქაც კიეველებს დარჩათ — 2:1.

რ. ჟორიჟე

* * *

სურათზე: მომენტი განვლილი მატჩიდან.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

კარგი ნამოწყება

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავთან დაკავშირებით შ. რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის ინიციატივით მოეწყო გამსვლელი სესია მახუნცეთის სკოლა-ინტერნატში, სადაც სხვა მოხსენებათა შორის წაკითხული იქნა ლექცია: „ფიზიკური აღზრდა და მისი მნიშვნელობა“ (წაიკითხა ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგემ ზ. მამუჯავიმ).

ლექციების შემდეგ გაიმართა ამხანაგური შეხვედრა კალათბურთში სკოლა-ინტერნატის გოგონებსა და ინსტიტუტის ქალთა გუნდებს შორის. შეხვედრის დაწყებამდე ინსტიტუტის ფიზაღზრდის კათედრის გამგემ ზ. მამუჯავიმ მოსწავლეებს საჩუქრად გადასცა თასი, სპორტული ფორმა და ინვენტარი.

ხანტერესო შეხვედრა კალათბურთში დამთავრდა ინსტიტუტის ქალთა გუნდის გამარჯვებით — 70:61.

მ. ბედოშვილი

რაიონული შეჯიბრება

ქობულეთის ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში ორ დღეს გრძელდებოდა კალათბურთელ ქალთა შეჯიბრება.

შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაიკავა ქობულეთის „კოლმეურნის“ გუნდმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხა 1-ლი საშუალო სკოლის გუნდი.

ჟ. ტრაპაიძე

საერთაშორისო ამხანაგური

ჩინეთში, მაგიდის ჩოგბურთელთა XXVI მსოფლიო ჩემპიონატზე გზად მიმავალმა რუმინელმა სპორტსმენებმა, რომლებიც მოახლოებული ასპარეზობის ერთ-ერთ მთავარ ფავორიტებად ითვლებიან, საერთაშორისო ამხანაგური მატჩი გამართეს საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელებთან.

არავის გაკვირვებია, როცა შეჯიბრების პირველ დღეს სტუმრების ქალთა გუნდმა ანგარიშით 9:0 დაამარცხა ჩვენი რესპუბლიკის ჩოგბურთელთა კოლექტივი. საბოლოოდ, მშრალ ანგარიშს ვერც ჩვენმა ვაჟებმა დააღწიეს თავი და წაგეს ყველა შეხვედრა — 0:16.

არც ერთი ქულა — რა უნდა ყოფილიყო უფრო დასანანი თბილისელი მაყურებლისათვის?

გარსშემოხვეული გულშემატკივრები ერთმა სტუმარმა შემდეგი სიტყვებით დაამშვიდა: ნუ გაგიკვირდებათ, ჩვენ რუმინეთის ჩემპიონები ვართო.

ეს უბრალოდ პატრიოტული თავგამოდება როდი იყო: რუმინეთის მაგიდის ჩოგბურთელთა დიდ პირველობაზე ადგილობრივ გუნდებს გარდა მონაწილეობდნენ უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა სახელმწიფოთა გუნდებიც, რომელთა შორის გამარჯვება სწორედ ჩვენმა დღევანდელმა სპორტულმა მეტოქეებმა მოიპოვეს.

საერთაშორისო ამხანაგური მატჩის ყველაზე უკეთ მომზადებული სპორტსმენი უნდა გამოვლინა შეჯიბრების მეორე დღეს გამართულ პირადი პირველობის გათამაშებას, რომელშიც თექვსმეტი ვაჟი და 6 ქალი მონაწილეობდა.

ვაჟთა სიმრავლის გამო ფინალური ჯგუფის შექმნამდე შეხვედრები ოლიმპიური წესით მოეწყო. აქ თავი იჩინა სტუმრების შესანიშნავმა ტექნიკურმა მომზადებამ, რამაც გულწრფელად ათქმევინა საქართველოს მრავალგზის ჩემპიონ რ. კუდაშვილს:

— მრავალ შეჯიბრებაში მიმიღია მონაწილეობა, მაგრამ ასეთი ძლიერი მოწინააღმდეგეები არასოდეს მყოლია. ტექნიკური არსენალის სიმდიდრე მათ საშუალებას აძლევს ისე გულგრილად ითამაშონ ჩვენთან, თითქოს ოფიციალურ შეჯიბრებაში კი არა, საწვრთნელ ვარჯიშში მონაწილეობდნენ.

მართლაც, სტუმრების ყველაზე ახალგაზრდა (17 წლის) ჩოგბურთელმა ა. რეტიმ ნაირფეროვანი ილეთების გამოყენებით დაამარცხა თბილისელი შ. შარაშენიძე, (21:5, 21:7). მეორე მაგიდასთან ტანმაღალმა ტ. კოვაჩმა შვიდ წუთში მოუგო ორი პარტია (21:5, 21:10). გ. გრიგოლიას, ხოლო გ. კობირზანმა ადვილად დაამარცხა ა. არუთინიანი — 21:17, 21:14.

რუმინელმა ვაჟებმა თანდათანობით გამოთიშეს შეჯიბრებიდან მასპინძლები და ფინალში ოთხი რუმინელის გარდა მხოლოდ რ. კუდაშვილიღა მონაწილეობდა.

პირველობისათვის მებრძოლ ვაჟთა შეხვედრებიდან საინტერესო იყო რუმინეთის 1960 წლის ჩემპიონის რადუ ნიგულესკუსა და გეორგუ კობირზანის საბრძოლო დუეტი, რომელიც უაღრესად აგრესიული სტილისა და შეუდარებელი დაცვის ბრწყინვალე დემონსტრირებას წარმოადგენდა. რ. ნიგულესკუმ გადამწყვეტი პარტია მოუგო გ. კობირზანს.

ინტერესმოკლებული არ ყოფილა რ. კუდაშვილისა და ა. რეტის შეხვედრა, რომელშიც ქართველმა ჩოგბურთელმა თავის სტილში აიყოლია სტუმარი და პირველ პარტიაში გაიმარჯვა კიდეც 21:17. რ. კუდაშვილი მატჩის მოგებასთან ძალიან ახლო იყო მეორე პარტიაშიც, მაგრამ ანერვიულდა, რამდენიმე უხეში შეცდომა დაუშვა და მოსაგები პარტია ორი ქულის განსხვავებით წააგო — 19:21. გადამწყვეტ პარტიაში გაიმარჯვა რუმინელმა — 21:15.

ა. რეტიმ არც თავისი თანამემამულეები „დაინდო“ და კობირზანსა და კოვაჩზე გამარჯვების შემდეგ რ. ნიკულესკუს შეებრძოლა. ევროპის ჭაბუკ ჩოგბურთელთა ჩემპიონატის პრიზიორმა ა. რეტიმ თავისი ქვეყნის ჩემპიონიც დაამარცხა (21:13, 11:21, 21:9) და პირველობა მოიპოვა. მეორე ადგილზე გამოვიდა რ. ნიგულესკუ, მესამეზე — ტ. კოვაჩი.

დაახლოებით თანაბარი ძალის მქონე სტუმარ ქალთა შორის მალე გამოიცვეთა მარიამ ალექსანდრუს ბრწყინვალე ტექნიკა, რაც გადამწყვეტი აღმოჩნდა უაღრესად მოძრავ კატრინელ ფოლიასთან შეხვედრაში. ანგარიში (23:21 და 25:23) ნათლად მეტყველებს მატჩის დაძაბულ ხასიათზე.

ქალთა შეხვედრიდან დიდი ინტერესი გამოიწვია ბუქარესტის ჩემპიონის ჯორჯეტ პიტიკასა და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონის ლ. იზაშვილის შეხვედრამ. ქართველმა ოსტატმა სამი პარტიიდან ორი მოიგო და მასპინძლებიდან ერთადერთმა შეძლო მესამე საპრიზო ადგილზე გასვლა. პირველ-მეორე ადგილებზე გავიდნენ მ. ალექსანდრუ და კ. ფოლია.

გ. ხამსონაძე

მზარდი პოპულარობით

ამას წინათ შედგა საქართველოს სსრ მაგიდის ჩოგბურთის ფედერაციის პლენუმი, რომელზეც განხილულ იქნა პრეზიდიუმის ორწლიანი მოღვაწეობა, აგრეთვე მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის საქმიანობა. რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსულ დელეგატები ლაპარაკობდნენ სპორტის ამ სახეობის სულ უფრო მზარდ პოპულარობაზე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში, მის მასობრიობაზე; ამასთან ერთად, მთელმა რიგმა ორატორებმა სერიოზულად გააკრიტიკეს აქ არსებული ნაკლოვანი მხარეები: ფედერაციის სუსტი კავშირი რაიონებთან, მუდმივი სპორტული ბაზის უქონლობა, ბავშვთა შორის არაგეგმაზომიერი მუშაობა და სხვ.

პლენუმმა აირჩია ფედერაციის პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია ი. კვანჭახაძე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო საქართველოს სსრ სპორტსაზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის საბჭოს თავმჯდომარემ გ. სიხარულიძემ.

გ. კოვალიოვი

სტარტზეა მესტიელი ახალგაზრდობა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავის იუბილეს აღსანიშნავად მესტიაში ამას წინათ ჩატარდა პირადგუნდური სასკოლო შეჯიბრება სათხილამურო სპორტში. მონაწილეობა მიიღეს ეცერის, ლენჯერის, მესტიის, მულახის, იფარის საშუალო სკოლების და „კოლმეურნის“ სპორტსმენებმა. შეჯიბრება დაიწყო გოგონთა ესტაფეტით 3×5, სადაც გაიმარჯვა მესტიის საშუალო სკოლის გუნდმა. ვაჟთა ესტაფეტაში 3×10 კმ-ზე პირველი იყო მულახის საშუალო სკოლის გუნდი. 5 კილომეტრზე რბენაში სტარტი აიღო 21 გოგონამ, სადაც ყველას აჯობა მესტიის საშუალო სკოლის გუნდის წევრმა მ. ნავერიანმა, ვაჟთა შორის 15 კმ რბენაში პირველი ადგილი მოიპოვა მულახის საშუალო სკოლის მოსწავლემ გ. ქალდანმა.

მეორე დღეს ხტომები ჩატარდა ახლადაშენებულ 40-მეტრიან ტრამპლინზე, სადაც კონკურენციის გარეშე აღმოჩნდა „კოლმეურნის“ წარმომადგენელი გ. ჯაფარიძე, მან დაამყარა რაიონის ახალი რეკორდი — 42 მეტრი. ამავე დღეს გაიმართა რბენა 30 კმ. ვ. კორძაიამ თანაბარ ტემპში გაიარა მთელი მანძილი და დამსახურებულად მოიგო რაიონის ჩემპიონობა. 10 კილომეტრზე გოგონებიდან I-II ადგილებზე გამოვიდნენ „კოლმეურნის“ სპორტსმენები ლ. ჯაფარიძე და ს. გულბანი.

სამთო სახეობებში შეჯიბრება ჩატარდა ალპინისტურ ბანაკ „უშბის“ მიდამოებში ახლად მოწყობილ ტრასებზე, შეჯიბრებამ ნათელჰყო, რომ სამთო სახეობებში ჯერ კიდევ დიდი ჩამორჩენაა მესტიელ სპორტსმენთა შორის. შეჯიბრება სწრაფდაშვებასა და სლალომში ძირითადად გაიმართა მესტიის საშუალო სკოლის და „კოლმეურნის“ სპორტსმენთა შორის. ვაჟებიდან სწრაფდაშვებაში პირველი ადგილი დაიკავა შ. მჭედლიანმა („კოლმეურნე“). მეორე ადგილზე გამოვიდა მესტიის საშუალო სკოლის მოსწავლე ბ. კახიანი.

გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე გამოვიდნენ მესტიის საშუალო სკოლის მოსწავლეები.

ვ. რატიანი



ფეხბურთის ქალაქი კვიპროსი

„ინტერნაციონალე“ ასწრებს „იუვენტუსს“

იტალიის ჩემპიონატის მორიგმა ტურმა თვალსაჩინო ცვლილებები შეიტანა ლიდერთა რიგებში. „ინტერნაციონალემ“ საკუთარ მინდორზე გამანადგურებელი დამარცხება მიაყენა რომის „ლაციოს“ (7:0) და თვალსაჩინოდ უსწრებს „იუვენტუსსა“ და „რომას“. „იუვენტუსი“ ეთამაშებოდა პროვინციულ „ბარის“, რომელიც სულ მეორე წელია, რაც პირველ ლიგაში თამაშობს. მიუხედავად იმისა, რომ „ბარის“ არც ერთი „ვარსკვლავი“ არა ჰყავს, მან დამარცხება მიაყენა (1:0) იტალიაში ყველაზე ძვირად ღირებულ „იუვენტუსს“. ტურინელთა ახალ მწვრთნელს გ. გრენს ისიც ადარდებს, რომ მათი ცენტრფორვარდი ჯ. ჩარლზი იტალიაში დარჩენას აღარ აპირებს. უელსელმა ფეხბურთელმა განაცხადა, რომ იგი ითამაშებს ინგლისის იმ კლუბში, რომელიც მას კვირაში 400-500 გირვანქა სტერლინგს გადაუხდის. ამ ტურში დამარცხება განიცადა „მილანმაც“, რომელმაც წააგო ბერგამოში ადგილობრივ „ატლანტასთან“ (0:2). ასე რომ „ინტერნაციონალეს“ მდგომარეობა შესამჩნევად განმტკიცდა. ამჟამად მას 35 ქულა აქვს. „იუვენტუსი“ ჩამორჩება 5 ქულით, მაგრამ თამაშგრში აქვს ერთი მატჩი.

✦

„გლეკკული“ თავს აღწევს გოლო ადგილს

ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში არ თამაშობდნენ ლიდერები—„ტოტენჰემ ჰოტსპური“ და „შეფილდ უენსდეი“. კიდევ ერთი დამარცხება განიცადა „ვულვერჰემპტონ უონდერერსმა“, რომელმაც სენსაციური ანგარიშით წააგო „ბლეკპულთან“—2:5, „ბლეკპულმა“ ამით თავი დააღწია ბოლო ადგილს.

ამ დამარცხების შემდეგ „ვულვერჰემპტონს“ ჩემპიონობისათვის ბრძოლის არავითარი შესაძლებლობა არა აქვს. ერთგვარ იმედს ინარჩუნებს მხოლოდ „შეფილდ უენსდეი“, რომელიც „ტოტენჰემს“ 9 ქულით ჩამორჩება. სპორტულ მიმომხილველებს მიაჩნიათ, რომ ჩემპიონობის ბედი ფაქტიურად გადაწყვეტილია.

დიდი დავაა იმ საკითხზე, თუ ვინ დატოვებს პირველ ლიგას. ჯერჯერობით ბოლო ორ ადგილზე არიან ცნობილი კლუბები „ბლეკპული“ და „პრესტონ ნორს ენდი“. მეორე ლიგაში პირველი ადგილი უკვე გაინაღდა „შეფილდ იუნაიტედმა“.

შუა ევროპის თასი

ჟურნალ „ფუსბალ-ვოჩეს“ ცნობით შუა ევროპის გათამაშებაში მონაწილეობას მიიღებენ შემდეგი გუნდები:

ავსტრიიდან: „ვინერ ატლეტიკ კლუბი“, „აუსტრია“ და „ფკ შვეჰატი“; **იუგოსლავიიდან:** „ცრვენა ზვეზდა“, „პარტიზანი“, (ბელგრადი), „დინამო“ (ზაგრები) და „ვოივოდინა“ (ნოვი სადი), **ჩეხოსლოვაკიიდან:** „დუკლა“ (პრაღა), „რუდა გვეზდა“, „სლოვანი“ (ორივე ბრატისლავადან), „სპარტაკი“ (გრდეც კრალოვე); **შვეიცარიიდან:** „შო დე ფონდსი“, „იანგ ბოისი“ (ბერნი), „ფკ ლუცერნი“, „ფკ ბილი“; **ჰოლანდიიდან:** „ფეაინორდი“ (როტერდამი), „აიაქსი“ (ამსტერდამი), „ნაკი“ (ბრედა), „ფკ გროინინგენი“; **გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან:** „ჰანბურგერ შპორტფერაინი“, „ფკ ნიურბერგი“, „ბორუსია“ (დორტმუნდი) და „ფკ პირმაზენსი“; **შვეციიდან:** „იურგორდენი“ (სტოკჰოლმი), „იფკ გეტებორგი“, „იფკ მალმე“, „აიკ სტოკჰოლმი“.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ შეურჩევია გუნდები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ თასის გათამაშებაში. თამაშები ოქტომბერში იქნება.

ევროპის პირველობა ბელგრადში

როგორც ცნობილია, ევროპის ჩემპიონატი კალათბურთში ვაჟთა გუნდებს შორის ჩატარდება იუგოსლავიის დედაქალაქში. შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი 23-მა ქვეყანამ განაცხადა. ეს ის სახელმწიფოებია, რომლებმაც უკვე წარმოუდგინეს განაცხადები ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტს. ევროპის პირველობაში მონაწილეობას მიიღებენ: ინგლისი, ბელგია, ბულგარეთი, საბერძნეთი, ისრაელი, იტალია, უნგრეთი, გდრ, ჰოლანდია, ლიუქსემბურგი, მაროკო, პოლონეთი, რუმინეთი, საბჭოთა კავშირი, თურქეთი, ფინეთი, საფრანგეთი, გფრ, ჩეხოსლოვაკია, შვეიცარია, შვეცია, შოტლანდია, იუგოსლავია.

ჩვენი გაზეთის მკითხველს ა. ვარსიმაშვილს სურს გაიგოს: ვინ იყო ყველაზე მეტჯერ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ჰიდაობაში?

სპორტის დამსახურებული ოსტატი ა. მეკოკიშვილი 16 ჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი. 9-ჯერ მოიპოვა მან უძლიერესის წოდება თავისუფალ ჰიდაობაში და 7-ჯერ სამბოში.

თბილისის № 1 ავტო-სარემონტო ქარხნის, სარემონტო მექანიკური საამქროს უფროსს შ. ბეუაშვილს აინტერესებს: რომელი წლიდან ტარდება საბჭოთა კავშირის პირველობა და თასი კალათბურთში და ვინ იყვნენ ამ ხნის მანძილზე გამარჯვებულნი (ვაჟთა გუნდებს შორის).

საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში ტარდება 1924 წლიდან. პირველი ჩემპიონის წოდება მოიპოვა მოსკოვის ნაკრებმა. ეს ტიტული მან შეინარჩუნა 1924 და 1928 წლებში. 1934 წელს პირველი ადგილი მოიპოვა ლენინგრადის ნაკრებმა, 1935 წელს — მოსკოვის ნაკრებმა, 1936 წელს — ლენინგრადის ნაკრებმა, 1937 წელს — მოსკოვის „დინამომ“, 1938 წელს — ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“, 1939 წელს — მოსკოვის „ლოკომოტივმა“, 1940 წელს — ლენინგრადის „ბურევესტნიკმა“, 1944 წელს — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა, 1945 წელს მოსკოვის არმიის ცენტრალური სახლის კლუბმა, 1946 წელს — თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა, 1947 წელს — კაუნასის სკიფმა, 1948 წელს — მოსკოვის „დინამომ“, 1949 წელს — ტარტუს უსკ-ამ, 1950 წელს — თბილისის „დინამომ“, 1951 წელს— კაუნასის „ჟალგირისმა“, 1952 წელს — მოსკოვის ვვს-მა, 1953 წელს — თბილისის „დინამომ“, 1954 წელს — თბილისის „დინამომ“, 1955 წელს — რიგის ოფიცერთა სახლის გუნდმა, 1956 წელს (სპარტაკიადაზე) — ლატვიის ნაკრებმა, 1957 წელს — რიგის სკა-მ, 1958 წელს რიგის სკა-მ, 1959 წელს (სპარტაკიადაზე) — მოსკოვის ნაკრებმა, 1960 წელს — არმიის ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდმა.

საბჭოთა კავშირის თასის გათამაშება 1949 წლიდან დაიწყო. თასის პირველი მფლობელი გახდა თბილისის „დინამო“, მას შემდეგ ქართველმა კალათბურთელებმა კიდევ ორჯერ (1950 და 1951 წლებში) მოიპოვეს საპატიო ჯილდო. 1952 წელს თასი მოიგო რიგის „დინამომ“.

✦

რედაქციაში შემოვიდა წერილი, სადაც წყალტუბოს რაიონის სოფ. ფარცხანაყანევის სკოლის მოსწავლე შ. კუჭუხიძე გვეკითხება: 1). რამდენჯერ უთამაშია საბჭოთა კავშირის ნაკრებში ცნობილ ქართველ ფეხბურთელს ბორის პაიჭაძეს; 2). განზრახულია თუ არა მოეწყოს სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ნაკრები გუნდების შეხვედრა.

იმ წლებში, როცა ბ. პაიჭაძე თამაშობდა ფეხბურთს, სსრ კავშირის ნაკრები გუნდი არ არსებობდა.

რაც შეეხება სამხრეთ ამერიკისა და ევროპის ნაკრები გუნდების შეხვედრას, ასეთი რამ ჯერჯერობით განზრახული არ არის, ვინაიდან არც ამგვარი ნაკრები გუნდები არსებობენ. მაგრამ ისევე, როგორც შარშან, მოეწყობა ორი მატჩი ევროპის ჩემპიონთა თასის გამარჯვებულსა და სამხრეთ ამერიკის ჩემპიონთა თასში გამარჯვებულს შორის.

✦

ზუგდიდელი ა. ფირცხალავა გვწერს: „გთხოვთ მიპასუხოთ, ვინ იყო გასული წლის შედეგების მიხედვით უძლიერეს მძლეოსნად აღიარებული ჩვენს ქვეყანაში?“.

ჟურნალ „ლიოგკაია ატლეტიკას“ მიერ ამ თემაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ჩვენი ქვეყნის ყველა მოძმე რესპუბლიკისა და უცხოეთის 8 ქვეყნის ათასობით სპორტის მოყვარულმა, რომლებიც 6 უძლიერესის ადგილზე ასახელებენ 52 კანდიდატს. ჩვენი ქვეყნის 1960 წლის უძლიერეს სპორტსმენად აღიარებულ იქნა სტაიერი ბ. ბოლოტნიკოვი (მოსკოვი, „სპარტაკი“), რომელმაც მიიღო 23.689 ხმა. მეორე ადგილზეა თ. პრესი (ლენინგრადი, „ტრუდი“), — 11.135 ხმა, შემდეგ —ვ. ბრუმელი (მოსკოვი, „ბურევესტნიკი“) — 10.512 ხმა.

✦

ჩვენი გაზეთის მკითხველს ბაკურიანელ შ. კოზანაშვილს აინტერესებს, რამდენი ოსტატი მძლეოსანი მომზადდა გასულ წელს საქართველოში და ვინ არიან ისინი.

1960 წლის სპორტულ სეზონში რესპუბლიკურ და საკავშირო შეჯიბრებებზე საქართველოს 11-მა სპორტსმენმა აჩვენა ოსტატის ნორმა. მათ შორის ათი ვაჟი და ერთი ქალია: თ. როქმანოვა (ბათუმი, „კოლმეურნე“) 80 მ თარჯრბენი — 11,1; ა. მაკაროვი (თბილისი, სკა) — 20 კმ სპორტული სიარული — 1:31.09,4; ნ. კალანდაძე (თბილისი, „სპარტაკი“) — 20 კმ სპორტული სიარული — 1:31,08,4; ლ. დარახველიძე (თბილისი, „სპარტაკი“) სამხტომი — 15,65, ე. ლომთათაძე (თბილისი, „სპარტაკი“) 100 მ რბენა — 10,4; რ. ჯარაშნელი (თბილისი, „დინამო“), რბენა 100 მ — 10,4; მ. სიმაკოვი (თბილისი, „დინამო“) სამხტომი — 15,52; ი. გიგაური (თბილისი, „ლოკომოტივი“) შუბის ტყორცნა — 73,03; მ. ტუღუში (ბათუმი, „დინამო“) 110 მ თარჯრბენი — 14,2; ი. დიაჩკოვი (თბილისი, „დინამო“) ათჭიდი — 6.800 ქულა; რ. ქვაჩაკიძე (თბილისი, „ბურევესტნიკი“) სიგრძეზე ხტომა — 7,63.



ა. ერაძისა
ბ. ბურაკოვისა
ბ. ბურაკოვისა
ბ. ბურაკოვ